პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 23 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი ჯარი

189 (887) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## სამხკორები და მანევრები.

მომავალი მანევრების მნიშვნელობა უკვე საკმაოდ გავაშუქეთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. აგრეთვე სრული დარწმუნებული ვართ, რომ ეს მეტად დიდი მნიშვნელობის მომენტი ჩვენი ჯარის ცხოვრებაში სავსებით გარკვეული აქვთ ყველა წითელ მებრძოლებს.

რამოდენიმე დღის შემდეგ თვით მანევრებიც დაიწყება.

მთელი თავისი ცოდნით, ენერგიით და მუყაითობით ჩვენი წითელი ჯარი უნდა შეუდგეს მანევრების წარმატებით ჩატარებას. ამ ამოცანასა ხელი უნდა შეუწყონ აგრეთვე ჩვენმა სამხკორებმაც. ისინი მოწოდებული არიან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ფართედ გააშუქონ მანევრების მსვლელობა.

სამხკორის თვალს არ უნდა გამორჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა მანევრებზე.

თავისი საქმიანი, ცოცხალი წერილებით სამხკორებმა უნდა დაეხმარონ თავის გაზეთს სავსებით ასახონ მანევრების მიმდინარეობა, ყველა მისი დადებითი და უარყოფი მხარეები. არა ერთხელ თქმულა და კიდევ უნდა განვიმეოროთ, რომ ჩვენი სამხკორები ასეთი დიდი მნიშვნელოვან მომენტების დროს ჯარის ცხოვრებაში, როგორიც არის მანევრები, ძლიერ იგვიანებენ.

ისინი თავის დროზე არ აწვდიან წერილებს რედაქციას. ამასთანავე სწერენ ძლიერ ცოტას.

ეს ცოტა უფრო წვრილმანებს ეხება ვიდრე თვით მიმდინარე კამპანიას და განსაზღვრულ მნიშვნელოვან ამოცანას. ყოველივე ეს აქედანვე უნდა აიცილონ თავიდან სამხკორებმა.

უნდა სწერო მანევრების ყველა მხარეზე: რა წარმატებებია, რა ნაკლია, როგორ აქტივობას იჩენენ წითელი მებრძოლები, როგორი დამოკიდებულებაა მოსახლეობასთან და სხვა.

აგრეთვე საჭიროა თვით მანევრების ყოფა-ცხოვრების დასურათებაც. ერთი სიტყვით არც ერთი მნიშვნელოვანი რამ, რომელიც ეხება მანევრებს არ უნდა დარჩეს გაუშუქებელი.

ყოველივე ეს უნდა გააშუქო თავის დროზე, სინამდვილეს სრული დაცვით, ზედმეტი სიტყვების გარეშე. დასწერ თუ არა მყისვე უნდა მიიღო ზომები, რათა კორესპონდენცია საჩქაროდ მივიდეს რედაქციაში.

სამხკორებმა აგრეთვე ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ მანევრებზე კედლის გაზეთების გამოცემისათვის.

აქ სამხკორებმა და რედკოლეგიებმა უნდა გამოიჩინონ მთელი თავისი უნარი. კედლის გაზეთების მთელი შინაარსი შეფარდებულ უნდა იქმნას მანევრებთან.

მანევრები ჩვენი სამხკორებისა და რედკოლეგიების გამოცდაა. ეს გამოცდა მათ ჩინებულად უნდა ჩააბარონ. ამისათვის საჭიროა სავსებით განახორციელონ ზემოაღნიშნული ამოცანები.

სამხკორო! ნუ დაიგვიანებ. დროზედ მიაწოდე შენს გაზეთს მასალები მანევრების შესახებ.

იზრუნე კედლის გაზეთზე. ეცადე თავის დროზე და შინაარსიანად გამოუშვა ის.

## პოლონეთის ჯალათების კიდევ ერთი ვერაგობა.

ჯალათებმა სისრულეში მოიყვანეს თავისი საზიზღარი განზრახვა. პოლონეთის საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა მუშათა კლასის სამ გმირს გიბნერს, კნიევსკისა და რუტკოვსკის.

21 აგვისტოს განაჩენი სისრულეში იქმნა მოყვანილი. კვლავ პოლონეთის ჯალათების ტყვიებმა განგმირეს პროლეტარიატის სამი საუკეთესო წარმომადგენლის გული.

ჩვენ ამას მოველოდით. ჩვენ ვიცოდით რომ გამხეცებული პოლონეთის ბურჟუაზია შეუბრალებლად გაუმასპინძლდებოდა იმათ ვინც უშიშრად და რევოლიუციონური გამბედაობით აღზდგა მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად და მედგრად შეებრძოლა მის მტერს.

თეთრი ტერორისა და პოლიტიკური ძალადობის ქვეყნად გარდაიქცია ბურჟუაზიამ პოლონეთი. მუდამ დღე დაპატიმრება, მუდამ ფაშისტური პოლიციის თარეში, მუდამ პროვოკაცია და რევოლიუციონერების ფიზიკურად გაჟლეტა—აი რით სცხოვრობს დღეს პოლონეთის რესპუბლიკა. ნიადაგ გამორეცხილ ეკონომიურ კრიზისში კისრამდე ჩაფლული, გაკოტრებული პოლონეთის ბურჟუაზია სისხლიანი რეჟიმით და უმაგალითო ძალადობით ლამობს თავისი შერყეული მდგომარეობის განმტკიცებას და ბატონობის შენარჩუნებას. ამიტომაც არის რომ ის ასე სასტიკად, ასე შეუბრალებლად სდევნის მუშათა კლასს, მის საუკეთესო წარმომადგენლებს. თავის ბრძოლაში პოლონელ კაპიტალისტებმა არ იციან დაზოგვა.

მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს, როცა მათ ხელში ჩავარდებათ მუშათა კლასის თავისუფლებისათვის რომელიმე მებრძოლი. ის მყისვე ხდება ბურჟუაზიული პოლიციის, სასამართლოს ტყვეობის თუ სახრჩობელას მსხვერპლი.

ამ სამმა კომუნისტმა განიზრახა პროვოკატორ ცეხანოვსკის მოკვლა, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა პარტიას და მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. მაგრამ პოლონეთის პოლიციის მექებრებმა გაუგეს მათ განზრახვა. როცა ეს ამხანაგები მიდიოდენ თავის რევოლიუციონური ტერორის სისრულეში მოსაყვანად მათ უეცრად თავს დაესხა პოლიცია. ატყდა სროლა. სამმა რევოლიუციონერმა არ დაიხიეს უკან და შეებნენ უთანასწორო ბრძოლაში სროლის დროს მათ მოკლეს რამოდენიმე პოლიციელი. დაბოლოს ისინი ჩაუვარდენ ხელში პოლიციას.

შემდეგ ისინი გაასამართლეს და კიდეც გამოასალმეს სიცოცხლეს.

პოლონეთის ჯალათებმა კიდევ დაღვარეს რევოლიუციონერების წმინდა სისხლი.

კვლავ ისინი შეუბრალებლად ჟლეტენ მუშათა კლასის საუკეთესო შვილებს. მაგრამ ყოველივეს აქვს დასასრული. პოლონეთის ბურჟუაზიის ბატონობას და სიმხეცესაც.

განთავისუფლებული პოლონეთის პროლეტარიატი ერთი ორად გადაუხდის თავის მყვლეფელებს. ის შეუბრალებელი და სასტიკი იქნება ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობის განადგურებაში.

და ჩვენ გვწამს, რომ ამის მოწამე ჩვენ მალე გავხდებით.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიის მუშათა დელეგაციების საუბარი ამხ. ზინოვიევთან.

20 აგვისტოს გერმანიის მუშათა დელეგატები ესტუმრა ამხ. ზინოვიევს, რომელთანაც ისაუბრეს სამი საათის განმავლობაში.

საუბრის საფუძველი იყო საკითხი,—რა უშლის ხელს მუშა-სოციალ დემოკრატების კომუნისტებთან ერთიან ფრონტს.

საუბარში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ სოციალ დემოკრატები ტონი, მეილე, ბენევიცი და სხვა. სოციალ დემოკრატები აღნიშნავდენ, რომ კომუნისტებთან იმათ აშორებს ძირითადი საკითხი სოციალიზმის გზის შესახებ: ისინი—სოციალ დემოკრატები იცავენ დემოკრატიულ გზას, ხოლო კომუნისტები მიდიან პროლეტარიატის დიქტატურის გზით. ტონმა აღნიშნა, რომ ერთიანობას ხელს უშლის ხშირად ცალკე კომუნისტების არა ტაქტიკური გამოსვლები სოციალ დემოკრატების წინააღმდეგ. ბენევიცმა საყვედურით აღნიშნა, რომ გერმანიის კომუნისტები ხშირად ვერ არჩევენ თავის მუშაობაში სოციალ დემოკრატ ბელადებს პარტიულ მუშათა მასებიდან.

საპასუხო სიტყვაში ზინოვიევი შეჩერდა დელეგატების მიერ წამოყენებულ ყველა საკითხებზე და აღნიშნა, რომ თუ კომპარტიას წარსულში შეცდომები ჰქონდა, ისინი ამას არას დროს არ ჰფარავენ მუშათა მასებთან; ეს შეცდომები უმნიშვნელოა სოციალ დემოკრატიის საზღაპრო შეცდომებთან შედარებით. ზინოვიევმა მიუთითა 1914 წლის ომზე, როცა სოციალ დემოკრატიამ გასცა მუშათა კლასი, და 1918 წელზე, როცა გერმანიაში სოციალ დემოკრატიამ დაშალა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები და ძალაუფლება ბურჟუაზიას გადასცა.

„ახლოვდება ახალი ომი და ჩვენ—ამბობს ზინოვიევი—ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ სოციალ დემოკრატია კვლავ გაგზავნის მუშათა კლასს ბრძოლაში ბურჟუაზიული სამშობლოს დასაცავად.“

დეპუტატები განსაკუთრებით აღელვებული იყვნენ საუბრით და დაშლისას სთხოვეს ზინოვიევს ერთხელ კიდევ დაუთმოს მათ დრო საუბრისთვის.

## ჩინეთის ამბები

### ინგლისის მთავრობა შეფიქრებულია ჩინეთის ამბებით.

ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს კანტონში შექმნილ სერიოზულ მდგომარეობას.

ჩემბერლენი, რომელიც ამ ჟამად შვებულებაში ითვლებოდა, სასწრაფოდ იქნა გაწვეული ლონდონში, ჩინეთში შექმნილ სერიოზული მდგომარეობის გამო.

### კანტონის მთავრობის ფინანსთა კომისარის მოკვლა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით მოჰკლეს გომინდანის (ჩინეთის რევოლიუციონური პარტია) პარტიის გამოჩენილი წევრი და კანტონის მთავრობის ფინანსთა კომისარი ლიაო-ჩუუნ-ხაი.

ლიაო-ჩუუნ-ხაი იყო გომინდანის პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი და მემარჯვენეები მას ბრალს სდებდენ ბოლშევიკობაში.

## ბულგარეთის მუშათა საფრანგეთიდან გადასახლების შესახებ.

ბულგარეთში ამ დღეებში გაიმართა მუშათა დიდი დემონსტრაციები ბულგარეთის პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით პარიზის ბურჟუაზიული გაზეთები მოითხოვენ სასტიკ ზომებს „კომუნისტურ ზრახვების“ წინააღმდეგ.

### ბულგარეთის მუშათა პროტესტი.

ბულგარეთის მუშათა ჯგუფმა გამოაქვეყნა საფრანგეთის კომპარტიის გაზეთ „იუმანიტეში“ პროტესტი ბულგარეთის მუშების გადასახლების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს მუშები კომუნისტები სრულიადაც არ არიან და რომ მათი გამოსვლები გამოსთქვამენ პროტესტს მხოლოდ ცანკოვის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი გახდენ ბულგარეთში დარჩენილი ამ მუშების ნათესავები.

ორშაბათს, 24 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების

**მორიგი სხდომა.**

1) კომუნალური (წითელი თეატრი).
2) ჯანმრთელობის (აღმასკ. შენ. ოთახი №57).
3) საფინანსო (აღმასკ. შენ. ოთახი №17).
4) განათლების (აღმასკ. შენ. ოთახი №32).
5) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (აღმასკ. შენ. №28).
6) სამხედრო (აღმასკომის დარბაზი).

**ყველა სექციებისთვის**

**დღის წესრიგი:**

ინფორმაციული მოხსენება ტფილისის საბჭოს და მისი ორგანოების 1925 წ. პირველ ნახევრის მოქმედების შესახებ.

თავის სექციების მიხედვით ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

სექციების წევრებს დაურიგდებათ ანგარიში.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი

არ. რუხაძე.

# …ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

### ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ.

კომინტერნის აღმასკომმა გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება გიბნერის, კნიევსკისა და რუტკოვსკის საქმეზე სიკვდილის განაჩენის გამოტანის გამო:

„ყველა ქვეყნის მუშებო, ხმა აღიმაღლეთ საზიზღარი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

ვარშავის სამხედრო—საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა გიბნერს, კნიევსკის და რუტკოვსკის. სამივე ამხანაგები დახვრეტილია. ერთი იუდა გამცემლის გულისთვის პოლონეთის მუშათა კლასმა შესწირა ოთხი სიცოცხლე. დაიღუპა ბოტვინი, გიბნერი, კნიევსკი და რუტკოვსკი.

პოლონეთის მთავრობა ამით სცდილობს მუშათა კლასის შეშინებას. პოლონეთის სოციალისტებმა საზიზღარი როლი ითამაშეს ამ საქმეში. მათი პროვოკატორული გაზეთებიდან ბრალმდებელს მოჰყავდა მასალები ჩვენი ამხანაგების წინააღმდეგ და მოითხოვდა მათ დასჯას.

ყველა ქვეყნის მუშებო, დაანახეთ პოლონეთის ბურჟუაზიას, რომ პროლეტარიატი არ არის მარტო თეთრი ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხმა აღიმაღლეთ დემონსტრაციებსა და კრებებზე პოლონეთის კონტრრევოლიუციის საზიზღარი მოქმედების წინააღმდეგ. შეარცხვინეთ პოლონეთის სოციალ-გამცემლების საზიზღარი როლი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მებრძოლ პროლეტარიატის დახვრეტას.

დიდება მუშათა საქმისთვის დაღუპულ მებრძოლთ! ძირს პოლონეთის კაპიტალის თეთრი ტერორი! ძირს მათი დამქაშები მე-2 ინტერნაციონალიდან; გაუმარჯოს პოლონეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას.

ხელს აწერს სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა ბელადები.

---

# გიბნერ, კნიევსკი და რუტკოვსკი სიკვდილით დასაჯეს.

პოლონეთის საგანგებო სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა გიბნერის, კნიევსკისა და რუტკოვსკის. დამცველები შეეცადენ სასჯელის შემსუბუქებას, მაგრამ განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

---

# დამცველ პასხანსკის სიტყვიდან.

გიბნერის, კნიევსკისა და რუტკოვსკის პროცესზე დამცველმა პასხანსკიმ განაცხადა.

„ყველა პროცესზე ბრალდებულები აცხადებდენ, რომ მათ სასტიკად აწამებდენ. იდეურ მებრძოლისთვის უბრალო წკიპურტიც საგრძნობი შეურაცყოფაა. წამებულთა სისხლი შობდა და ყოველთვის წარმოშობს იდეისთვის ახალ მებრძოლთ. რამდენ კომუნისტურ იდეის მომხრეებს მოგვცემს ეს სამი გმირის დახვრეტილი გვამი“.

---

# ამერიკის ქიმიური საზოგადოების რეზოლიუცია.

ამერიკის ქიმიურმა საზოგადოებამ გამოიტანა რეზოლიუცია რომელშიაც დაგმობილია ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილება მხუთარი გაზების აკრძალვის შესახებ ომის დროს.

რეზოლიუცია უწოდებს ჟენევის ამ გადაწყვეტილებას „პაციფისტების ცდას—დასცენ მებრძოლ მხარეთა ეროვნული თავდაცვის უნარი“.

---

# საპროტესტო მიტინგი.

საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში იმართება საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები პოლონეთის მთავრობის მიერ რევოლიუციონერთა სიკვდილით დასჯის გამო, სადაც ზიზღსა და წყევა-კრულვას უგზავნიან პოლონეთის ჯალათებს და მათ ხელის შემწყობ სოციალ-გამცემლებს.

# ბრძოლა მაროკოში.

ჰავასის სააგენტოს ცნობით რიფებმა გააძლიერეს შემოტევა არტილერიის ცეცხლით. ესპანეთის გარნიზონმა დაანგრია მტრის არტილერია, მათ დაჰკარგეს 20 კაცი. მეტად დაზიანდა ესპანეთის გემები.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

## სრულიად საკავშირო ავტო-გადარბენა.

მოსკოვში ჩამოვიდენ საბარგო მანქანები, რომლებიც მონაწილეობენ ავტო-გადარბენაში.

კომანდორის მანქანის შემდეგ პირველად მოვიდა ამოს ქარხნის საბჭოთა საბარგო ავტომობილი. ამოს მანქანებს ეჭირათ აგრეთვე ორი შემდეგი ადგილი.

მთელი გარბენის დროს ჩვენი ავტომობილები წარმატებით ეჯიბრებოდენ კრუპის ქარხნის მანქანებს.

---

## ავტო-გადარბენის მონაწილეთა ამხანაგური ვახშამი.

მოსკოვში საბჭოთა სახლის დიდ დარბაზში ავტო-გადარბენის მონაწილეებს გაუმართეს ამხანაგური ვახშამი, რომელსაც დაესწრო ათასი კაცი.

ავტო-გადარბენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ენუქიძემ მთავრობის სახელით მიესალმა გადარბენის მონაწილეთ და აღნიშნა, რომ გადარბენა საჩქაროში შეჯიბრი კი არ არის, არამედ ის ისახავს წმინდა პრაქტიკულ მიზანს—გზას, რომლითაც უნდა წავიდეს ავტო-აღმშენებლობა საბჭოთა კავშირის გზების მდგომარეობასთან შეფარდებით.

მის სიტყვას მქუხარე ტაშით შეხვდენ დამსწრენი.

ვახშმის შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება.

---

## უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

21 აგვისტოს დელეგაცია ინახულა ვოლგას გერმანელთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ.

22 აგვისტოს მოსკოვიდან გამოვიდა დელეგაციის კავკასიის ჯგუფი 25 კაცის შემადგენლობით.

---

## კავშირი დასავლეთ ევროპის სწავლულებთან.

უკრაინის სამეცნიერო აკადემიამ მიიღო დასავლეთ ევროპის სწავლულებისაგან აუარება წერილი, რომლებშიაც გამოსთქვამენ სურვილს აკადემიასთან კავშირის დაჭერის შესახებ.

# ᲐᲕᲘᲝ-ᲥᲘᲛᲘᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

### რა არის ავიაქიმი და რა საჭიროა ის.

თვითეულ უვადო შვებულს სოფლად დაბრუნების შემდეგ საქმე დაურჩება ასეთ ორგანიზაციასთან, ხოლო თუ ასეთი არ იქნება-მოუხდება მისი შექმნა. ყველაზე მეტად ჩვენ ვფიქრობთ, რომ შვებულს მოუხდება მოქმედება სახელდობრ ამ უკანასკნელ მიმართულებით ე. ი. ავიაქიმის უჯრედის მოწყობა და მუშაობის დაწყება.

რა არის ავიაქიმი? როგორია მისი ამოცანები?

საჭიროა თუ არა საერთოდ ავიაქიმის შესახებ ცოდნა? არ იქნება ეს ზედმეტი შვებულისთვის?

ასეთი საკითხი შესაძლებელია და არა მარტო შვებულის მხრივ, არამედ კარგად მომზადებულ და განვითარებულ ამხანაგების მხრივაც. მხოლოდ მარტო ამის გამო უნდა დაებადოს შვებულს ინტერესი ამ ორგანიზაციისადმი.

და რომ ზოგიერთები შეცდომაში არ ჩავარდენ, ჩვენ შევეცდებით გავაშუქოდ მოკლედ ავიაქიმის წინაშე მდგარი ამოცანები.

ავიაქიმი არის საბჭოთა კავშირის საავიაციო, ქიმიურ თავდაცვისა და მრეწველობის მეგობართა საზოგადოება.

ესაა მისი ნამდვილი სახელწოდება.

საზოგადოება მოწყობილია ნებაყოფლობითი საფუძვლებზე. არავითარი ძალდატანება საზოგადოებაში შესვლისთვის არ შეიძლება. სრულიად საკავშირო მეორე თათბირმა კენჭის ყრაც კი აკრძალა კრებებზე საზოგადოებაში შესვლის საკითხის შესახებ. წევრად ჩაწერა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით.

1925 წლის მაისამდი იყო ორი საზოგადოება: საჰაერო ფლოტისა და ქიმიის მეგობართა საზოგადოებები. მაისში ეს ორი საზოგადოება შეერთდა და ავიაქიმის სახელწოდებით.

ავტონომიურ ოლქებისა და ეროვნულ რესპუბლიკების საზოგადოებები წარმოადგენენ დამოუკიდებელ საზოგადოებებს. ყველა საზოგადოებებიდან მოლაპარაკების საფუძვლებზე შესდგა საბჭოთა კავშირის ავიაციის, ქიმიური თავდაცვისა და მრეწველობის მეგობართა საზოგადოებების კავშირი (მოსკოვში).

დამოუკიდებელი საზოგადოებები არსებობენ წესდების (ხელშეკრულების) საფუძველზე. წესდება დამტკიცებულია საზოგადოების ყრილობის მიერ. ყრილობები ირჩევენ საბჭოებს. საბჭოები ირჩევენ პრეზიდიუმებს. უჯრედებში მუდმივი მუშაობისათვის ირჩევა ბიურო. ბიუროს წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია უჯრედის წევრთა რაოდენობაზე. საზოგადოების უჯრედები ეწყობა ყველა ფაბრიკებში, წარმოებებში და სოფლებში. უჯრედებს კავშირი აქვთ რაიონებთან, ოლქებთან და მაზრებთან.

საზოგადოებაში შესავალად დაწესებულია საწევრო გადასახადი:

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის—60 კაპიკი წელიწადში.

გლეხთათვის 30 კაპიკი წელიწადში.

წითელ-არმიელთათვის 24 კაპიკი წელიწადში.

საზოგადოების წესდებას დასახული აქვს ზოგადი ამოცანები, სახელდობრ: როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ძლიერი წითელი საჰაერო ფლოტის შექმნაზე დახმარება; დახმარება ქიმიური მრეწველობის განვითარებაზე სახალხო მეურნეობისა და სამხედრო საქმის მოთხოვნილებასთან დაკავშირებით და საშუალებათა ძიება ქვეყნის ქიმიური და საჰაერო თავდაცვის მოწყობისათვის.

ნ. დვორიანოვი.

„კრ. ვ.“

---

# ᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

ამ ახლო მომავალში დაიწყება ჩვენი ჯარის ნაწილებიდან წითელ-არმიელთა უვადო შვებულებაში გაშვება. წითელ-არმიელი, რომელიც წითელი არმიის რიგებში იმყოფებოდა 1—2 წლის განმავლობაში, დღეს კარგად მომზადებული და ყოველივე საკითხში გარკვეული უბრუნდება თავის სოფელს, თავის ოჯახს.

ამ წერილში ჩვენ გვსურს შევჩერდეთ განსაკუთრებით შვებულ წითელ-არმიელი-კომუნისტის მოვალეობასა და მის მუშაობაზე სოფლად.

უპირველეს ყოვლისა, როდესაც შვებული წ. არმიელი-კომუნისტი დაბრუნდება თავის სოფელში ის ნახავს იქ მრავალ ახალს.

პირველი, რაც მას თვალში მოხვდება, ეს იქნება მისი არ ყოფნის დროს განმავლობაში გლეხობის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიური დონის ამაღლება. წლი-ნახევრის განმავლობაში სოფელმა საგრძნობლად წაიწია წინ.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გლეხობა წელში გაიმართა კარგი მოსავლით და ასასთანავე ერთად ის გამოვიდა სახელმწიფოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

შვებული წითელ არმიელი—კომუნისტი, რომელიც დაბრუნდება თავის სოფელში, სადაც მას მოუწევს სხვა და სხვა მუშაობის წარმოება, კარგათ უნდა ჩაუკვირდეს ყოველივე ზემოთქმულს და აქედან გამომდინარე მუშაობასთან შეფარდებით უნდა აწარმოოს ყოველგვარი საქმიანობა სოფლად.

როგორი იქნება მისი მუშაობის ამოცანები სოფლად?

**უნდა გააცხოველოს სოფლის საბჭოების მუშაობა.**

შვებულმა წ. არ.—კომუნისტმა სოფლის საბჭოებისა და სამეურნეო მუშაობაში უნდა ჩააბას სოფლის აქტიური ძალები. მან უნდი აამაღლოს საბჭოთა ორგანოების ავტორიტეტი და დაუახლოვოს ის გლეხთა ფართო მასას.

საბჭოების ხელახალი არჩევნების დროს წ. არ.—კომუნისტი უნდა ეცადოს, რომ საბჭოებში ასარჩევად წამოაყენოს კანდიდატურა ისეთი კომუნისტების, რომლებიც სარგებლობენ სათანადო ავტორიტეტით გლეხთა ფართო მასაში და რომლებსაც კარგათ იცნობს სოფელი როგორც კარგ მომუშავეებს.

გარდა ამისა საჭიროა აგრეთვე გამოასწოროს მუშაობა საბჭოთა იმ აპარატების, რომლებიც უშუალოთ ემსახურებიან გლეხობას. იმათ არ უნდა დაუშვან, რომ მიწების, ფულის, ტყეების, გზების, სკოლების, ხიდეების და სხვა კომისიებმა, და განყოფილებებმა, რომელსაც კი აირჩევენ სოფლად არ დაიწყონ მექრთამეობა, საქმის გაჭიანურება, უთავ-ბოლობა, ბიუროკრატიზმი და სხ., რომლის საშუალებით ეკარგება გლეხობას ნდობა პარტიისა და და საბჭოთა მთავრობისადმი.

ზემო აღნიშნული მუშაობა შვებულ წ. ა. კომუნისტმა უნდა გაატაროს თვისი სოფლის კომუჯრედის საშუალებით.

(დასასრული იქნება)

ემი.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ჩვენი საქმიანობა.

მე-5-ე ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის საკომენდანტო ოცეულში იმყოფებიან, როგორც ძირედი წითელ-არმიელები, ისე ცვალებადელები ამ ოცეულის წითელ-არმიელებს ძლიერ იზიდავთ გაზეთების კითხვა. დაჯდებიან რამოდენიმე ამხ-გი ერთად და რომელმაც უფრო კარგი კითხვა იცის მათში, უკითხავს სხვებს დანარჩენები სხედან და გულდასმით უსმენენ.

ამასთანავე ერთად აღნიშნული ოცეულის წითელ-არმიელთა სურვილის თანახმად, მათთან დაარსებულ იქნა ანგარიშის შესასწავლი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი ოცეულის თავი.

წითელ-არმიელები გულმოდგინეთ მეცადინეობენ ამ წრეში და ყველა ცდილობს, რაც შეიძლება კარგათ შეისწავლოს ანგარიში.

მადლობის ღირსია ჩვენი ოცეულის თავი, რომელიც არავითარ შრომას არ ზოგავს წითელ-არმიელთა გასათვითცნობიერებლად.

წ.-არმიელი სამხკორი თათოშვილი.

## ჩვენი ცვალებადელები ექსკურსიაზე.

მე 4 ლეგ. მე-7 და მე-3 ტყ-ვიამფ. ასეული.

14 აგვისტოს ჩვენი ასეულების მთელი შემადგენლობა გაემგზავრა ქალ. №—ის ნავთსადენის სადგურის, ელ-სადგურის და მფრინავ „იუნკერსის“ დასათვალიერებლად. დათვალიერება ხდებოდა ჯგუფ-ჯგუფათ. ამხანაგები ეცნობოდენ სხვა და სხვა მანქანების მოქმედებას. განსაკუთრებით ცვალებადელების ყურადღება მიიპყრო თვითმფრინავმა და უარავ შეკითხვებს აძლევდენ მფრინავს, რაზედაც ღებულობდენ დამაკმაყოფილებელ პასუხს. საჭიროა უფრო ხშირად ასეთი ექსკურსიები განსაკუთრებით გლეხ-ცვალებადელებისათვის, რადგანაც პირველად ხედავენ ყოველივე ამას.

ახკორი ლვდელაძე.

## კარგათ ჩავატარეთ საღამო-წარმოდგენა.

დილაა. ყველანი სკოლის გარეშე პროპაგანდის კურსების მსმენელები ემზადებიან თავიანთ ძალებით საღამოს ჩასატარებლად წიგნის დღის აღსანიშნავად. კურსების მსმენლები დაყოფილ იქნენ ბირთვებათ (ჯგუფებათ), ზოგს დაევალა კედლის გაზეთის გამოცემა, ზოგს კოლექტიურ გასამართლების მოსაწყობათ ტექსტის შედგენა, ზოგს სიმღერების დამზადებას ზოგს სიტყვებით გამოსვლა, ზოგს კითხვა-პასუხის საათის ჩატარება და სხვა მრავალი ასეთები.

ყველა ჯგუფები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომელი უკეთ შეასრულებს დავალებას.

საზაფხულო თეატრის წინ დაწყობილია სკამები. ყველაფერი მზათ არის. ლენინის მინდორში არის გამოკრული ლოზუნგები. პლაკატები და დიაგრამები. გამოკრულ იქნა თვალსაჩინო ადგილზე კურსების კედლის გაზეთი „სხივი“. გაზეთი ღირსშესანიშნავია, როგორც მხატვრობით ისე შინაარსით.

გაზეთში მოთავსებულია 21 წერილი და 7 კარიკატურა. 21 წერილიდან პოლიტშემადგენლობის წერილი არის 2, დანარჩენი 19 კი თვით კურსების მსმენლების წერილებია. წერილები დაბეჭდილია მანქანაზე. ასეთი შინაარსიანი გაზეთი ლეგიონში პირველია. ყველა ლენინის მინდვრებში ჩატარდა საუბრები წიგნის მნიშვნელობაზე. საღამოს 7 საათზე ჩატარდა კითხვა-პასუხის საათი, რამაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ წ. არმიელებს ეძლეოდათ საჩუქრის სახით შესაფერისი წიგნები.

სრულ 8 საათზე იხსნება საზეიმო სხდომა. წარმოითქვა სიტყვები ქართულ, რუსულ, თათრულ, გერმანულ და სომხურ ენებზე. ყველა მომხსენებლები აშუქებდენ წიგნის წარმოშობის ისტორიას და მის მნიშვნელობას.

8 ნახევარ საათზე დაიწყო გასამართლება. გასამართლებულ იქნა წითელ-არმიელი, რომელმაც „მოჰკლა“ წიგნი. ბრალდებულს და დამცველებს ეტყობოდათ მომზადება. გასამართლებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ-არმიელებზე. სრულ 10 ნახევარ საათზე დამთავრდა გასამართლება რის შემდეგ მომწყობი კომისიის სცენაზე გამოძახებულ იქნენ საუკეთესო მკითხველები, რომლებსაც მიეცათ საჩუქრის სახით რამოდენიმე წიგნები.

ბოლოს გამოვიდა მომღერალთა გუნდი, რომელმაც შეასრულა რამოდენიმე რევოლიუციონური სიმღერები. საღამო დამთავრდა სრულ 11 ნახევარ საათზე.

სამხკორი მ. გ.

# განაკის ცხოვრება და მუშაობა

## ამხ. მამია ორახელაშვილი ჩვენთან.

პოლიტსკოლა.

აგვისტოს 19 დილით შეგვატყობინეს, რომ საღამოს 4 საათზე ადგილობრივ კლუბის შენობაში ამხ. მამია ორახელაშვილი გააკეთებს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზეო.

დანიშნულ დროისთვის სიმღერით გავეშურეთ კლუბისკენ. ადგილობრივ მცხოვრებთ უკვე მოეყარათ თავი.

იყვნენ ახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხებიც.

მოხსენება გაგრძელდა ორ საათს.

ამხ. მამია შეეხო დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. შეჩერდა კაპიტალის სტაბილიზაციაზე, მეორე ინტერნაციონალის ბელადთა „გმირულ“ მოქმედებაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა ჩვენი კავშირის მდგომარეობა, მრეწველობის ზრდა და სასოფლო-მეურნეობის აღორძინება.

ხაზი გაუსვა წითელი-არმიის მნიშვნელობას კავშირისთვის. „იმ სახლს, რომელსაც იცავენ კარგნი დარაჯნი, ქურდები ახლო არ გაეკარებიან. ასევეა ჩვენი კავშირი. მას იცავს შეგნებულათ ძლევა მოსილი წითელი არმია და ამიტომ კაპიტალის ლაქიები გვერიდებიან-“ სთქვა ამხ. მამიამ.

მოხსენების შემდეგ დამსწრეებმა მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა, რაზედაც სათანადო პასუხი გასცა ამხ. მამიამ. შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

მოხსენება თავის შინაარსით დიდათ სასარგებლო იყო ჩვენთვის, რადგან ნათლად გავერკვიეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში.

ი—ა.

## მეოთხე ტერლეგიონის საკავშირო გუნდიც ვინახულეთ.

1 ლი საკავშირო ასეული.

მშვენიერი დილა გათენდა. დღეს ჩვეულებრივზედ უფრო გვიან გაგვაღვიძეს, ეს იმიტომ რომ, დიდი ალლუმი გვქონდა და ძალიან დაღლილები ვიყავით. დღეს მთელი დღე დასასვენებლად არის გამოცხადებული. მიუხედავათ იმისა რომ წითელ არმიელები დაღლილები იყვნენ, ჩვენი ასეულის წითელ არმიელებში აღიძრა სურვილი, რათა დაევლოთ № ქალაქი და მასთან ერთად გადავწყვიტეთ რომ მივსულიყავით მეოთხე ტერ-ლეგიონის საკავშირო გუნდშიდაც. ეს განზრახვაც სისრულეში მოვიყვანეთ. ვთხოვეთ მეთაურს შვებულება და ათ კაცამდე გავემგზავრეთ საკავშირო გუნდისკენ.

ყაზარმებთან მისვლისას წინ შემოგვეგება დღიური და როდესაც გაიგო ჩვენი სურვილი, გამოუძახა მორიგე მეთაურს.

მორიგე მეთაურის დანახვამ ჩვენში გამოიწვია დიდი აღფრთოვანება, ვინაიდან ყველანი ვცნობდით მას, როგორც ჩვენი ასეულის კურსდამთავრებულს.

მისალმების შემდეგ, როდესაც მან გაიგო რა მიზნითაც ვიყავით მისული, მაშინვე გაგვიძღვა წინ და შეგვიყვანა საკავშირო გუნდის ყაზარმაშიდ.

მისვლისთანავე ჩვენ მოგვესალმენ წითელი არმიელები.

შემდეგ მეთაურმა დაგვტოვა და ჩვენც შეუდექით წითელ არმიელებთან საუბარს. მათთან საუბრიდან გამოირკვა, რომ ისენი ძლიერ, კმაყოფილნი არიან ყოველ მხრივ. აგრეთვე აღნიშნეს, რომ ტერიტორიალური სისტემა ძალიან სასარგებლოა მათთვის, რადგან სამხედრო მეცადინეობასაც კარგათ ითვისებენ და სოფელში მუშაობასაც არა სცდებიან.

ამ ნაწილის ძირედი შემადგენლობის წითელ არმიელებს კარგათ შეუთვისებიათ ყველა სპეციალური საგნები და ეხლა მეცადინეობას აწარმოებენ ცვალებადელებთან.

საუბრების შემდეგ დავათვალიერეთ ყაზარმის მოწყობილება; კედლებს ამშვენებდა სხვა და სხვა პლაკატები და წარწერები. ამასთანავე ერთად მათ ყაზარმაში, ძალიან სისუფთავეა დაცული ლოგინიც სუფთა და კარგათ აქვთ დალაგებული.

აქ კარგათ და სუფთად არის მოწყობილი საჩვენებელი კაბინეთიც.

მხოლოდ მათ საჩვენებელ კაბინეთში არ აქვთ ყველაფერი ის, რაც საჭიროა მათთვის.

ჩვენი წითელ არმიელები დააინტერესა იმან, თუ რამდენათ აქვთ შეთვისებული მათ ეს სპეციალური დარგი. ამ მიზნით წითელ არმიელებმა მის ცეს შეკითხვები და ისენიც იძლეოდენ სათანადო პასუხს.

ამის შემდეგ გადავწყვიტეთ ქალაქში გავლა. საკავშირო გუნდის წითელ არმიელებმა მიგვაცილეს ალაყაფის კარებამდე და გამოვესალმეთ.

ჩვენი ასეულის წითელ არმიელები ძალიან კმაყოფილნი დარჩენ ასეთი წრფელი შეხვედრით.

სამხკორი კლდის ძირელი.

## სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

მალე შეგვისრულდება სამი თვე, რაც ბანაკად ვიმყოფებით. კურსანტებს დაეტყოთ გავლენა კარგი ჰავის: ყველა გამოიყურება ჯანმრთელად, არა ყოფილა შემთხვევა ავათ გახდომის.

მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალურად.

ყველა იჩენს დიდ ენერგიას და ხალისს საჭირო ცოდნის შესაძენათ.

მხოლოდ ხელს გვიშლის ამ შემთხვევაში საჭირო სახელმძღვანელოების უქონლობა.

ბიბლიოთეკაშიც არ გვაქვს ქართულ ენაზე საკმაო წიგნები.

დიდ დაბრკოლებას განვიცდით სამეცადინო ოთახის და პარტების უქონლობის გამო: ვმეცადინეობდით ხან სახლის აივანზე, ხან ფიჭვის ქვეშ, მაგრამ ეს დაბრკოლებაც ვძლიეთ.

სროლაც ჩინებულად მიმდინარეობს.

გავიარეთ რამოდენიმე ვარჯიშობა, მალე სულ დამთავრდება ყველა ვარჯიშობა და შეგვეძლება აღნუსხვა ჩვენი მიღწევების.

ჯერჯერობით კი შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ყოველი კურსანტი ჩინებული მსროლელია.

ეს მაჩვენებელია იმის, რომ ზამთრის პერიოდში თეორიულად გავლილი საგნები შეთვისებულ იქნა კურსანტების მიერ პრაქტიკაზე.

არ დაგვიტოვებია აგრეთვე უყურადღებოთ სოფელი. დრო გამოშვებით გავდიოდით სოფლებში, ვეცნობოდით გლეხების ყოფა-ცხოვრებას, ვმართავდით ბაასს სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

მიმაგრებული ამხანაგებიც მუშაობდენ ენერგიულად: ყოველ კვირა დღეს ესტუმრებოდენ სოფელს, უწევდნენ ხელმძღვანელობას პარტიის უჯრედს, სოფლის საბჭოს, ახკომკავშირს.

საშეფო სოფელს ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება

პირველ ხანებში ხშირად ვესტუმრებოდით ხოლმე: ვმართავდით წარმოდგენებს, სხვა და სხვა გასართობებს. ბოლო დროს კი ცოტათი შესუსტდა ჩვენი მუშაობა.

ადგილობრივ დაწესებულებებთან და ჯარის ნაწილებთან კარგი განწყობილება და მჭიდრო კავშირი გვაქვს.

ვიწვევთ ურთი-ერთს კრებებზე, საღამოებზე, ვაცნობთ ჩვენ ცხოვრებას. არა ვართ აგრეთვე მოწყვეტილი და მოშორებული სამოქალაქო ცხოვრებას, არამედ, როგორც შეეფერება წითელ ჯარს, ვცდილობთ გვქონდეს მჭიდრო კავშირი მუშებთან და გლეხებთან.

პარტიული მუშაობა სწარმოებს კომუჯრედის კრებების სისტემატიურად გამართვით.

აქ ექცევა ყურადღება საერთაშორისო მდგომარეობას. კურსანტები რიგ-რიგობით აკეთებენ მოხსენებებს ამ საკითხზე.

კლუბთან არსებობს სამი წრე: დრამატიული, სალიტერატურო და სამხკორთა. მეცადინეობა სწარმოებს რეგულიარულად. დრო გამოშვებით იმართება საღამოები ადგილობრივ კლუბში.

გვაქვს კედლის გაზეთი, სახელწოდებით „წითელი კურსანტი“, რომელიც გამოდის თვეში ორჯერ. თანამშრომლობენ მეტ წილად კურსანტები. ხელმძღვანელობას უწევს სარედაქციო კოლეგია.

ბიბლიოთეკა მუშაობს კარგათ. მკითხველები ბლომად ჰყავს. მხოლოდ, ძალიან ცოტაა ქართული წიგნები ყველა დარგებში, რაც ძლიერ აფერხებს მის მუშაობას.

ე. ხუციშვილი.

# კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჩვენთან.

პირველი საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენი ნაწილი ბანაკად გასვლის დღიდანვე შეუდგა საბანაკო მუშაობის გაცხოველებას.

ამ ბოლო ხანებში ჩვენთან ხშირად ეწყობა ექსკურსიები, რაც წითელ-არმიელებში იწვევს უსაზღვრო სიხარულს. წასული თვის 18-ს ჩვენ წავედით ექსკურსიაზე ჰაეროპლანის დასათვალიერებლად. აქ ჩვენ კარგათ აგვიხსნეს მისმა სპეცებმა ჰაეროპლანის აგებულობა და მისი მნიშვნელობა.

ამის შემდეგ ჩვენ წაგვიყვანეს № ქალაქის სახალხო თეატრში, სადაც გვაჩვენეს კინო-სურათი „ტარიელ მკლავაძე“. ამ სურათის სანახაობამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ-არმიელებზე.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენი ნაწილის დრამ-წრე არის სიღათას ძილს მიცემული. ეს ერთი ხანია რეჟისორი გვპირდება წარმოდგენის გამართვას და ჩვენ კი სინამდვილეში ვერაფერი ვერ ვნახეთ.

კარგი იქნებოდა, რომ რეჟისორს მიეღო ზომები და დაგვიდგამდეს წარმოდგენას ხშირ-ხშირად.

სამხკორი ძირულელი.

# ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

— **საბარგო ავტომობილები.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ამერიკიდან მიიღო 50 საბარგო ავტომობილი.

— **სახ.-სამ. გამოფენა.** ა.-კ. უმაღლეს ეკონომ. საბჭომ დაამტკიცა ა.-კ. სახ.-სამეურნეო გამოფენის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. გამოფენა გაიხსნება მომავალი წლის მარტში.

— **ქიათურაში** შავი ქვის მრეწველებმა დაადგინეს გაიყვანონ ელექტრო სინათლე ქარხნებსა და მაღნების სამუშაოებზე.

— **სიმინდი გლეხებს.** აჭარის ცეკავშირი შეუდგა სიმინდის დარიგებას სტიქიურათ დაზარალებულ გლეხებისათვის.

— **პურის ნაკლებობა.** ქუთაისში შემჩნეულ პურის ნაკლებობის გამო იქ, გაიგზავნა 8 რონოდა პურის ფქვილი. პურზე ფასმა უკვე დაიკლო.

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**სარწყავი არხის გაყვანა.**

სოფ. ტყვიავის თემალმასკომმა დაადგინა გაიყვანოს სარწყავი რუ ე. წ. „კოშკას აგარაკზე".

**სკოლის გახსნა.**

გორის სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს გახსნას სკოლა სოფ. ფლავისა და ფლავისმანის მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

**წისქვილის აგება.**

სოფ. ქახვრელის გლეხებმა დაადგინეს აგონ ახალი სასოფლო წისქვილი.

**სამოსწავლო წლისათვის.**

გორის სათემო აღმასკომი შეუდგა სოფ, კარალეთის სკოლის შეკეთებას. სკოლა ძლიერაა დაზიანებული და იგი მზად იქნება სამოსწავლო წლისათვის.

**ახალ-სენაკში.**

აგვისტოს პირველ რიცხვებში ახალ-სენაკში გაიხსნა ტფილისის კომუნალური ბანაკის განყოფილება.

**ახალი ხიდი.**

ახლო ხანში დამთავრდება მდ. პიცუზე (სენ. მაზრა) ხიდის აგება. გლეხები მოუთმენლად მოელიან ხიდის გახსნას.

**საზაფხულო აგარაკი.**

აჭარის სახკომსაბჭომ დაადგინა მომავალი წლიდან გაანთავისუფლოს ქობულეთში ერთი აგარაკი საბავშო სახლების ბავშთა გადასაყვანათ.

**აღმასკომების შენობების შეკეთება.**

ზუგდიდის აღმასკომმა დაადგინა გადასდოს მომავალ წელში 7.500 მანეთი მაზრის 25 თემში აღმასკომების შენობების შესაკეთებლათ.

**გლეხკომის ფონდი.**

მუხრანის გლეხკომს ამჟამად გახსნილი აქვს ფურნე. 2 წისქვილი და ამუშავებს ხილეულობის ბაღს.

**ბოროტმოქმედებისათვის.**

მუხრანის გლეხკომში მომხდარ უკანონო მოქმედებათა გამო, დუშეთის სამაზრო გლეხკომმა დანიშნა გამოძიება.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **ლექციები ავიოქიმიაზე.** მომავალ სამოსწავლო წლიდან უნივერსიტეტში, პოლიტეხნიკუმში და სპეც. ტეხნიკუმებში დაიწყება ლექციების კითხვა სპეციალისტების მიერ ავიოქიმიაზე.

— **სპეცტანისამოსი.** შრომის სახკომისარიატი ქიათურაში გზავნის სანიტარულ ინსპექტორს მუშების სპეცტანისამოსის ნორმების შესამუშავებლათ.

# ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

—**წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში** კვირას გაიმართება დიდი საღამო, წ.-კ. უცოდ. მებრძოლი საზ—ბის სასარგებლოთ.

— **ორშაბათს იმავე ბაღში** გაიმართება უკრაინულ საღამო. წარმოდგენილი იქნება კომედია „ორი კურდღის მადევარი".

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ

**ელექტრონის სინათლის გავლენა მცენარეებზე.**

ამერიკაში მოხდენილ იქნა საინტერესო ცდები ელექტრონის გავლენის შესახებ სხვა და სხვა მცენარეების ზრდაზე. აღმოჩნდა რომ ელექტრონის სინათლე მეტად აჩქარებს სხვა და სხვა მწვანილეულობის, ბალის მცენარეების, ყვავილების და სხვ. ზრდას. ქიდევ მეტი, შესაძლებელი აღმოჩნდა მცენარეების ზრდის მოწესრიგება ელექტრონის სინათლით ისე, რომ წინასწარ გათვალისწინებულ დროს განმავლობაში მიღწეულ იქნება მცენარის სრული ზრდისა და გაფურჩქვნის დასრულება. ელექტრონის სინათლის გავლენა მცენარეებზე აიხსნება იმით, რომ ღამით მცენარე ელექტრობის სინათლის გამო ფხიზლობს. გამორკვეულია აგრეთვე, რომ მცენარე ითვისებს და ინელებს საზრდოს სინათლის გავლენით; ამიტომ, რამდენადაც მეტ ხანს არის მცენარე განათებული, იმდენად ის მეტ საზრდოს ითვისებს და სწრაფად იზრდება. როცა გამოირკვა, რომ მცენარის ზრდის მოწესრიგება შეიძლება ზემოაღნიშნული გზით, იფიქრეს მოეხდინათ ცდა ბალახის ზრდის აჩქარებაზე. პირველად მოხდენილ იქნა ცდა პატარა მაშტაბით. სანერგეებში დათესილ იქნა სხვა და სხვა გვარი მინდრვის ბალახი და განათებული იყო ხელოვნური სინათლით ხუთ-ხუთი საათით თითეულ ღამეს. აქედან მიღებულ იქნა მშვენიერი შედეგები: მეოთხე დღეზე თესლი უკვე აღმოცენდა და მეთოთხმეტე დღეს ბალახის სიმაღლე უდრიდა 2 დუიმს.

ამ ცდებიდან დადებითი შედეგის მიღების შემდეგ მოხდენილ იქნა ცდა უფრო ფართე მაშტაბით.

ბალახის თესლი დათესილ იქნა 6 ივნისს და იმავე ღამეს ანთებულ იქნა ელექტრონის ლამფები. განათება ხდებოდა 24 ლამფიდან, თითო იყო 1000 სამთლიანი, შეიარაღებული რეფლექტორებით და ჩამოკიდებული მიწის ზედაპირიდან 4 ფუტის სიმაღლეზე. ლამფებს შორის მანძილი იყო 7 ფუტი, რის გამოც მოედანი თანასწორზომიერად იყო განათებული. ნიადაგის შემადგენლობა და მისი დამუშავება ერთნაირი იყო მთელ დათესილ მოედანზე.

მთელი დათესილ მოედნის მხოლოდ ერთი მესამედი იყო ხელოვნურად განათებული.

განათება სწარმოებდა 21 დღის განმავლობაში.

ამინდი იყო არა ხელის შემწყობი. ხშირად ბერავდა ცივი ქარი და იყო ღრუბლიანი დღეები.

განათლლებულ ადგილზე თესლი აღმოცენდა მეხუთე დღეს, ხოლო გაუნათებელზე მეშვიდე დღეს.

განათებულ ადგილზე ბალახი უფრო ხშირი იყო ვიდრე გაუნათებელზე. 27 ივნისს განათებულ ადგილზე ბალახის სიმაღლე უდრიდა 4 დუიმს, მაშინ როცა გაუნათებელზე— მხოლოდ 1 დუიმს.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ავადმყოფობის გამო მე ვიყავი სამსახურიდან ოთხი თვით განთავისუფლებული; ჩამეთვლება თუ არა ეს ოთხი თვე სამსახურში?

**წ. არმიელი ლ.**

**პასუხი.** ჩაგეთვლებათ.

**კითხვა.** მე, როგორც, რკინის გზის მოსამსახურე შემიძლია თუ არა ქარ. ცალკე მესანგრე ასეულიდან გადავიდე რკინის გზის ათასეულში?

**წ. არმ. მ. კამკამაძე.**

**პასუხი.** მიმართეთ თქვენს უფროსს.

**კითხვა.** უფპოლიტშემადგენლობას, რომელსაც არ ესაჭიროება ულუფიდან მხოლოდ ხორცი, შეუძლია თუ არა მისი ღირებულება მიიღოს ფულად?

**ანგი.**

**პასუხი.** არა. მთელი ულუფა ან სულ ფულად ან ნატურით უნდა მიიღოთ.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს შეუძლიათ თუ არა სითავისუფლის მოწმობა მიიღონ აქ ისე, რომ არ გამოცხადდენ თავიანთ მაზრის სამხედრო კომისარიატში; მოგვეცემა თუ არა რაიმე დახმარება სამსახურის შოვნამდე?

**წ. არმ. იონა კორძახია.**

**პასუხი.** უნდა გამოეცხადოთ თქვენს მაზრის სამხედრო კომისარს აღრიცხვაზე ასაყვანად. მატერიალური დახმარება არ მოგეცემათ. ადგილის შოვნაში დაგეხმარებათ თქვენი უფროსი.

**კითხვა.** ჯარში ყოფნის დროს შევირთე ქალი; „მაჩ"-ში გასატარებლად შეიძლება თუ არა მომეცეს მოკლე ვადიანი შვებულება?

**წ. არმ. ი. მეხხიშვილი.**

**პასუხი.** თუ იმსახურეთ წითელ არმიაში ერთი წელი, მაშინ შეგიძლიათ ითხოვოთ მოკლე ვადიანი შვებულება ქალის შერთვის გამო.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს მოგვეცემათ თუ არა ტანსაცმელი?

**წითელ არმიელები.**

**პასუხი.** თანახმად რევსამხსაბჭოს ახალი (მაისი 1925 წ.) ბრძანებისა № 476 უვადო შვებულებაში მიმავალთ მიეცემათ მეორე ხარისხის ტანისამოსი: მაზარა, ჩაფხუტი ან ქუდი, საზაფხულო ბლუზა, შარვალი, ტოლადები, ერთი წყვილი საცვლები, ერთი წყვილი ფეხსაცმელები, ერთი პირსახოცი და წითელ არმიელის ნიშანი.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

პოლიტ-განის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამხ. გრიგორი დავიდოვს პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ 26 აგვისტომდე პოლიტ-განის კომუჯრედში.

**კომუჯრედის ბიურო.**

ქ. სამ. პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ **შემდეგ ა. ლ. ძ. კავშირის წევრებს:** 1. ცქიფურიშვილი მიხეილ, 2. რუსძე თედორე, და კ. პარ. წევრად მიღების შესახებ კ. პ. კანდიდატებს: 1. არუთინოვი სიმონი, 2. დიასამიძე დავითი, 3 მეზვრიშვილი პეტრე. ქ. სამ. პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედი გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები ზემო აღნიშნულ ამხ. ამხ. შესახებ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო.

**კომ-უჯრედის პ. მ. მდ. ვლ. კიკალიშვილი.**

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

სამხკორ „წაბ_ის ხეს" ორშაბათ დილით უსათუოთ შემოიარეთ რედაქციაში.

# Მ Ა Ნ Ც Ხ Ა Დ Ე Ბ Ა

**ქალაქის კომენდანტი** მცხოვრებთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 23 აგვისტოდან 26 სექტემბრამდე **იწარმოებს სროლა და აფეთქება!**

1. 23—25 აგვისტომდე საბურთალოში—ქვემეხებიდან ამაო ვაზნებით.
2. 25 აგვისტოდან 4 სექტემბრამდი „მლაშე ტბის" მახლობლად საომარი ყუმბარებით.
3. 25 აგვისტოს ვაკეზე ტყვიამფრქვევებიდან და
4. 26 აგვისტოდან 26 სექტემბრამდი ვერკეტილოს მთებზე ყოველ დღე 9 საათიდან 15 საათამდი უვარგისი საბრძოლო მასალების აფეთქება.

# ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

(ტფილისი, არსენ ჯორჯიაშვილის ქ. № 10) აცხადებს, რომ ა. წ. 3 სექტემბერს დღის 10 საათზე მოხდება

# ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ,

30.000 ფუთი კარტოფილისა და 10 ათასი ფუთი მჟავე კომბოსტოს (квашенная) მიწოდებაზე ტფილისში.

ჩაბარება იწარმოებს ოქტომბრიდან ივლისამდე ამ თვეების ჩათვლით ყოველ თვიურად თანასწორი ნაწილებით კონტრაგენტის საწყობიდან სამხედრო ნაწილების მოთხოვნილებების მიხედვით.

ორგანიზაციები, დაწესებულებები და კერძო პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, მოწვეული არიან გამოსაცხადებლად ან თავის წარმომადგენლების სახით ან და შემოიტანონ თავიანთი განცხადება არა უგვიანეს საჯარო ვაჭრობის დღის 10 საათისა, სალერბო გადასახადის გადახდით, ან დახურულ კონვერტებში წარწერით: „3 სექტემბრის კარტოფილისა და მჟავე კომბოსტოს საჯარო ვაჭრობას", ყველა წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო იჯარის და მიწოდების საჯარო ვაჭრობის წესების ინსტრუქციის მე-5 მუხლში.

საჯარო ვაჭრობისთვის მიცემულ განცხადებებში აღნიშნულ უნდა იქნან მიწოდების პირობები, ფუთი კარტოფილისა და მჟავე კომბოსტოს ფასი და განცხადების მიმცემის მისამართი.

განცხადებებს, როგორც წერილობითს, ისე ზეპირს თვით საჯარო ვაჭრობაზე უნდა დაერთოს საბუთები, საჯარო ვაჭრობაზე მონაწილის პიროვნების შემმოწმებელი, ქვითარი სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ სალაროში კ. წ. დ. ა. მომარაგების უფროსის სახელზე 10 პროც. შეტანის შესახებ იმ ღირებულებიდან, რომელიც წარმოდგენილი აქვს მოიჯარადრეს ან და წარმოადგინოს ზემოაღნიშნულ თანხაზე საბუთები ამა თუ იმ მოძრავ ქონების უდავო საკუთრებასა და ხელწერილი ხელშეკრულებაზე აუცილებლად ხელის მოწერის შესახებ იმ შემთხვევაში თუ მიწოდება დარჩება განცხადების შემტანს და იქნება დამტკიცებული.

სახელმწიფო წარმოებები და კოოპერატიული ორგანიზაციები რესპუბლიკის ან ოლქის მაშტაბით თავისუფალი არიან გირაოს შეტანისაგან.

იჯარის კონდიციებთან და პირობებთან გაცნობა შეიძლება კ. წ. დ. ა. მომარაგების უფროსის სამმართველოს ხასურსათო განყოფილებაში 13-დან 14 ნახ. საათამდე ყოველდღიურად ა. წ. 24 აგვისტოდან.

კ. წ. დ. ა. მომარაგების უფროსი

**ზაიცევი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.